როდესაც მისოს მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. მისოს მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანაგრიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომედევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

• ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო

შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

წილობრივი ინსტრუმენტებ იდან მიღებული მოგება ან ზარალი აღირცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში.

გაუფასურება

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

	< 30	31-60	61-90	91-180	>181
ვადაგადაცილების დღეები					
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

კომპანია

ფინანსური ვალდებულებები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

ადიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებულია - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში

3. საერთო მოგება

	2018	2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,766,177	9,223,059
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	245,767	266,791
სხვა შემოსავლები	16,798	1,768
უკან დაბრუნებული საქონელი	(256,144)	(218,014)
სულ შემოსავლები	7,772,598	9,273,604
თვითღირებულება	(5,896,380)	(6,513,493)
ვულკანიზაციის საქონელი	(12)	(5,801)
სულ თვითღირებულება	(5,896,392)	(6,519,294)
საერთო მოგება	1,876,206	2,754,310

შემოსავალი რეალიზაციიდან შედგება საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან. კომპანიის ძირითადი საქონლის ტიპები მოიცავს საბურავებს, ავტო-ნაწილებს, საავტომობილო ზეთებსა და სხვა საცხებ-საპოხ მასალებს.

4. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასის ხარჯი	(1,804,806)	(2,023,485)
ქირის ხარჯი	(710,723)	(876,948)
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(232,680)	(2,477)
ცვეთა და ამორტიზაცია	(311,841)	(309,916)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა	(144,034)	(6,445)
მარკეტინგის და სხვა საკონსულტაციო ხარჯები	(124,906)	(131,863)
ტრანსპორტირების ხარჯი	(69,267)	(87,704)
ბანკის საკომისიო	(38,101)	(53,137)
კომუნალური ხარჯები	(37,117)	(41,789)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(13,185)	(14,208)
საკანცელარიო ხარჯები	(1,256)	(5,766)
ჯარიმები	-	(16,306)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(171,003)	(162,999)
სულ	(3,658,919)	(3,733,043)

5. ფიქსირებული აქტივების გაყიდვიდან მიღებული მოგება / (ზარალი)

	2018	2017
საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	(1,733,479)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	(44,236)	10,673
სულ	(1,777,715)	10,673

კომპანიამ გაყიდა 2,585,500 ლარის ღირებულების საინვესტიციო ქონება, რომელიც მოიცავდა ქობულეთში მდებარე მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 20.42.01.123). გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა 852,021 ლარი შეადგინა. გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე არსებობდა მცირე მოთხოვნა მიწის ტერიტორიაზე, კომპანიას აღნიშნული საინვესტიციო ქონების ზარალით გაყიდვა მოუხდა.

6. სხვა ხარჯები

	2018	2017
საგადასახადო ხარჯები	55,125	26,117
კონვერტაციის საკომისიო ხარჯი	34,810	-
საინკასაციო მომსახურების ხარჯები	16,510	24,993
საავტომობილო მომსახურების ხარჯი	3,051	3,102
ტექნიკური მომსახურების ხარჯი	9,878	5,440
სასამართლო დავების და სხვა ხარჯები	5,561	2,919
ტენდერის პირობების დარღვევის ხარჯები	3,740	13,630
მავნე წარჩენების ხარჯები	3,308	14,975
ლიცენზიის ხარჯი	2,002	1,260
კავშირ-გაბმულობის ხარჯები	1,731	2,304
საკანონმდებლო ხარჯები	731	240
რეგისტრაციის ხარჯები	496	1,269
ვულკანიზაციის ხარჯები	-	32,927
ზეთის ხარჯები	-	9,532
სხვა ხარჯები	12,810	15,389
სულ:	149,753	154,097

7. სხვა შემოსავალი

	2018	2017
შემოსავალი სარეკლამო კამპანიიდან	67,762	192,825
შემოსავალი გაქირავებიდან	52,580	10,896
შემოსავლები მეორადი ზეთების გაყიდვიდან	20,708	31,915
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	27,289	8,995
სულ	168,339	244,631

კომპანიას გაქირავებული ქონდა სასაწყობო ფართის ნაწილი დაკავშირებულსა და სხვა მხარეებზე (50,158 ლარი) და აგრეთვე აქირავებდა ტერიტორიას ელექტრონული გადახდის აპარატებისათვის. (2,346 ლარი)

8. წმინდა მოგება / ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან

	2018	2017
ფული და ფულის ექვივალენტები	44,610	154,922
კრედიტორული დავალიანება	70,088	98,262
დებიტორული დავალიანება	221,191	429,711
სულ მოგება	335,889	682,895
ფული და ფულის ექვივალენტები	(108,283)	(134,131)
კრედიტორული დავალიანება	(46,372)	(84,836)
მიღებული სესხები	(129,033)	(447,357)
დებიტორული დავალიანება	(30,815)	(5,431)
სულ ზარალი	(314,503)	(671,755)
წმინდა მოგება/ზარალი სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	21,386	11,140

9. მოგების გადასახადი

კომპანიას არ გააჩნდა მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება 2017 და 2018 წლებში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

10. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ოფისის აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სარეკლამო მასალები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯარით აღებული ქონების კუთილმოწყობა	სულ
ღირებულება									
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	36,653	413,044	571,905	312,395	123,880	14,508	91,357	276,327	1,840,069
შეძენები	805	77,963	45,542	24,054	24,796	331	90,421	347,612	611,524
გაყიდვები	-	(31,342)	(106,637)	(80,960)	(8,012)	-	(22,744)	-	(249,695)
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	37,458	459,665	510,810	255,489	140,664	14,839	159,034	623,939	2,201,898
შეძენები	-	61,643	16,681	1,458	1,259	5,000	6,192	-	92,233
გაყიდვები	-	(61,443)	(61,650)	(30,899)	(6,509)	(4,888)	-	-	(165,389)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	(65,390)	(65,390)
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	37,458	459,864	465,841	226,048	135,415	14,951	165,226	558,549	2,063,352
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2016	(1,833)	(159,462)	(292,749)	(116,092)	(45,095)	(8,460)	(13,842)	(69,838)	(707,371)
ცვეთა წლის განმავლობაში ძირ. საშუალებების გაყიდვისას ელიმინირებული ცვეთა	(1,742)	(88,291)	(54,160)	(35,502)	(17,549)	(1,168)	(27,964)	(87,281)	(313,657)
31 დეკემბერი 2017	(3,575)	(232,822)	(292,081)	(119,847)	(59,855)	(9,628)	(35,082)	(157,119)	(910,009)
ცვეთა წლის განმავლობაში ძირ. საშუალებების გაყიდვისას ელიმინირებული ცვეთა	(1,781)	(84,699)	(45,792)	(28,247)	(17,285)	(1,184)	(32,326)	(93,711)	(305,026)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას ელიმინირებული ცვეთა	-	20,615	23,105	11,559	2,794	417	-	-	58,490
31 დეკემბერი 2018	(5,356)	(296,906)	(314,768)	(136,535)	(74,346)	(10,396)	(67,408)	(233,461)	(1,139,176)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2016	34,820	253,582	279,156	196,303	78,785	6,048	77,515	206,489	1,132,698
31 დეკემბერი 2017	33,883	226,843	218,729	135,642	80,809	5,211	123,952	466,820	1,291,889
31 დეკემბერი 2018	32,102	162,958	151,073	89,513	61,069	4,555	97,818	325,088	924,176

11. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
ღირებულება			
ღირებულება 31 დეკემბერი 2015	-	504,295	504,295
შეძენები	2,585,500	-	2,585,500
გაყიდვები	-	(504,295)	(504,295)
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	2,585,500	-	2,585,500
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	2,585,500	-	2,585,500
შეძენები			-
გაყიდვები	(2,585,500)		(2,585,500)
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	-	-	-
ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2015	-	(1,105)	(1,105)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(8,299)	(8,299)
საინვესტიციო ქონების გაყიდვისას ელიმინირებული ცვეთა	-	9,404	9,404
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2016	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	-	-	-
საბალანსო ღირებულება			
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2015	-	503,190	503,190
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2016	2,585,500	-	2,585,500
წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2017	2,585,500	-	2,585,500

კომპანიის მფლობელობაში არსებული საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასდა მის შესყიდვის თარიღში (01.04.2016). კომპანიის ხელმძღვანელობის თანახმად, საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის არ არსებობდა არსებითი სხვაობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2018 წელს, კომპანიის მიერ გაყიდული 2,585,500 ლარის თვითღირებულების საინვესტიციო ქონება შედგებოდა ქობულეთში არსებულ მიწის ტერიტორიისგან: (საკადასტრო კოდი: 20.42.01.123), რომლის გაყიდვიდან მიღებულმა ფულადმა სახსრებმა 852,021 ლარი შეადგინა. კომპანია არსებული მიწის გაყიდვას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ცდილობდა. რადგანაც ბაზარზე არ არსებობდა მოთხოვნა მიწის ნაკვეთზე, კომპანია იძულებული გახდა აღნიშნული მიწა ზარალით გაეყიდა.

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31/12/18	31/12/17
საბურავები	2,219,817	1,896,074
საცხებ-საპოხი მასალები	1,731,375	4,851,541
ავტო ნაწილები	1,177,342	775,064
სხვა	767,818	22,678
მარაგები გზაში	674,486	414,404
სულ	6,570,838	7,959,761

საანგარიშგებო პერიოდისათვის მოხდა სასაქონლო-მატერიალური მარაგების ჩამოწერა 18,554 ლარის ოდენობით. (1,008,141 ლარის ოდენობით : 2017 წელს). აგრეთვე ჩამოიწერა სასაქონლო-მატერიალური მარაგები ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე 144,034 ლარით. (6,445 ლარი: 2017 წელს).

2017 და 2018 წლების ბოლოსთვის, კომპანიის მიმდინარე და სამომავლო სასაქონლო-მატერიალური მარაგების 100% დაგირავებული იყო სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ სს „ქართუ ბანკი“-საგან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად.

13. დებიტორული დავალიანება

	31.12.18	31.12.17
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	1,490,592	1,339,462
მოთხოვნები სარეკლამო კამპანიისთვის	57,777	56,282
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	15	15
სხვა მოთხოვნები	46,521	108,115
მოთხოვნები დამფუძნებლების მიმართ	1,138	-
წინასწარ გადახდები	36,169	94,614
სულ დებიტორული დავალიანება	1,632,212	1,598,488
იურიდიული პირების დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	(275,067)	(98,669)
სარეკლამო კამპანიის მიმართ დებიტორული დავალიანების გაუფასურების ხარჯი	(56,282)	-
სულ საეჭვო მოთხოვნების ანარიცხი	(331,349)	(98,669)
ნეტო დებიტორული დავალიანება	1,300,864	1,499,819

დებიტორული დავალიანების ცხრილი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180	
ვადაგადაცილების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%	სულ
დებიტორული დავალიანება	1,148,914	50,922	63,686	85,235	247,286	1,596,043
ანარიცხი	22,977	2,546	15,922	42,618	247,286	331,349
სულ დებიტორული მოთხოვნები 31.12.2018	1,125,937	48,375	47,765	42,618	-	1,264,694

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდგენიარად:

ნაშთი 31.12.2016	(96,192)
დამატებითი დარიცხვა მიმდინარე წლისათვის	(2,477)
ნაშთი 31.12.2017	(98,669)
დამატებითი დარიცხვა მიმდინარე წლისათვის	(244,472)
გაუფასურების ანარიცხის ამობრუნება	11,792
ნაშთი 31.12.2018	(331,349)

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31/12/18	31/12/17
ნაღდი ფული	2,533	8,575
ფული საბანკო ანგარიშებზე	90,097	1,471,374
სულ	92,630	1,479,949

საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის არ არსებობს არსებითი სხვაობები. კომპანიამ 2018 წელს, შვიდი თვის განმავლობაში მიიღო 82,583 ლარის ოდენობით დარიცხული სარგებელი სს „ბაზის ბანკის“ დეპოზიტზე განთავსებული სახსრებიდან.

15. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 19,082,512 ლარს. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა და 20,221,060 ლარი შეადგინა.

16. მიღებული სესხები

2018 წლის 31 დეკემბერი

გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ლარი
სს საქართველოს ბანკი	8/27/2018	8/26/2022	16.9%	ლარი	385,275
სულ					385,275

მიმდინარე ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ლარი
სს თიბისი ბანკი	3/31/2015	1/1/2019	4.8%	აშშ დოლარი	98,177
სულ					98,177

სს „საქართველოს ბანკი“-საგან მიღებული, 1,300,000 ლარის ოდენობის სესხიდან, კომპანიამ დაფარა 914,725 ლარი. მიმდინარე პერიოდისათვის კომპანიას არ აქვს უზრუნველყოფილი აქტივები მიღებული სესხებისათვის.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებულ სესხებზე დარიცხული წლიური პროცენტი 357,423 ლარის ოდენობით, სრულად არის გადახდილი.

2017 წლის 31 დეკემბერი

გრძელვადიანი ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ლარი
სს „ბაზის ბანკი“	5/16/2017	6/15/2021	10%	აშშ დოლარი	1,138,415
სს „ბაზის ბანკი“	6/15/2016	6/15/2019	10%	აშშ დოლარი	349,446
სს „ბაზის ბანკი“	6/15/2016	6/15/2021	10%	აშშ დოლარი	1,462,958
სულ					2,950,819

მიმდინარე ნაწილი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	ლარი
საპროცენტო ვალდებულება					12,180
სულ					12,180

ნომინალურსა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობა არ არის.

მიღებული სესხების საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის არ არსებობს არსებითი სხვაობები.

17. კრედიტორული დავალიანება

	31/12/18	31/12/17
ვალდებულება იმპორტიორისადმი	(803,066)	(1,877,548)
კრედიტორული დავალიანება	(625,718)	(314,977)
მიღებული ავანსები	(222,764)	(295,399)
გადასახდელი ხელფასები	(30,908)	(32,056)
სხვა ვალდებულებები	(24,163)	(43,460)
სულ	(1,706,619)	(2,563,440)

საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის არ არსებობს არსებითი სხვაობები.

18. წმინდა ფინანსური ხარჯები

	2018	2017
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	82,583	138,614
საპროცენტო ხარჯები საბანკო სესხებზე	(239,462)	(438,294)
საპროცენტო ხარჯები მფლობელის სესხებზე	(83,493)	(124,318)
საპროცენტო ხარჯი გადავადებულ კომპენსაციაზე	-	-
საბანკო გარანტიის ხარჯები	(34,468)	(66,815)
სულ ფინანსური ხარჯი	(357,424)	(629,427)
წმინდა ფინანსური ხარჯი	(274,840)	(490,813)

357,424 ლარის ოდენობის ფინანსური ხარჯები მოიცავს საქართველოს ბანკის N 4446841 სესხზე დარიცხულ პროცენტს 122,709.90 ლარის ოდენობით, აგრეთვე, თიბისი ბანკის N2133865-9760186 სესხზე დარიცხულ პროცენტს 19,556 ლარის ოდენობით, ბაზის ბანკის N750000 სესხზე დარიცხულ პროცენტს 79,124 ლარის ოდენობით, ბაზის ბანკის N250000 სესხზე დარიცხულ პროცენტს 16,645 ლარის ოდენობით, თიბისი ბანკის საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯებს 34,469 ლარის ოდენობით, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ მიღებული სესხის პროცენტი 83,493 ლარის ოდენობით, თიბისი ბანკის აკრედიტივის პროცენტი 1,426.49 ლარის ოდენობით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური ხარჯი სრულად დაიფარა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკების მენეჯმენტი

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა,

შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;

ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი

პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	2018	2017
ფული და ფულის ექვივალენტები	92,630	1,479,949
დებიტორული დავალიანება	1,264,694	1,310,591
სულ ფინანსური აქტივები	1,357,324	2,790,540
ფინანსური ვალდებულებები		
სესხები	483,451	2,962,999
კრედიტორული დავალიანება	1,483,855	2,268,041
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,967,306	5,231,040

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის საკრედიტო რისკი გამოიხატება, მის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

	31.12.18	31.12.17
ფული და ფულის ექვივალენტები	90,097	1,471,374
დებიტორული დავალიანება	1,264,694	1,310,591

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3 დონიან მოდელს რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი ალიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი ალიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრძობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ.
- თუ საწყისი ალიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიჩნევა გაუფასურებულად.
- თუ ფინანსური ინსტრუმენტი გაუფასურებულია, მაშინ ის გადადის III დონეში.
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წილი მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე
(საწყისი ალიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი ალიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12-თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ხარჯი	არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, ასახავს I დონეში როგორც 2018 წლის დასაწყისში ასევე 2018 წლის ბოლოს.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცდილულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცდილების. დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცდილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცდილებული დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით. ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის. ბ) არსებობის მანძილზე არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

ლიკვიდურობის ცხრილი 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2018					
	1-ზე ნაკლები	1-დან 3 წლის ჩათვლით	3-დან 5 წლის ჩათვლით	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	92,630	-	-	-	92,630
დებიტორული დავალიანება	1,264,694	-	-	-	1,264,694
სულ ფინანსური აქტივები	1,357,324	-	-	-	1,357,324
ფინანსური ვალდებულებები					
					1,357,324
საბანკო სესხები	98,177	385,274	-	-	483,451
კრედიტორული დავალიანება	1,483,855	-	-	-	1,483,855
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,582,032	385,274	-	-	1,967,306
ლიკვიდურობა	(224,708)	(385,274)	-	-	(609,982)

2017					
	1-ზე ნაკლები	1-დან 3 წლის ჩათვლით	3-დან 5 წლის ჩათვლით	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ექვივალენტები	1,479,949	-	-	-	1,479,949
დებიტორული დავალიანება	1,405,205	-	-	-	1,405,205
სულ ფინანსური აქტივები	2,885,154	-	-	-	2,885,154
ფინანსური ვალდებულებები					-
საბანკო სესხები	12,180	2,950,819	-	-	2,962,999
კრედიტორული დავალიანება	2,563,440	-	-	-	2,563,440
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,575,620	2,950,819	-	-	5,526,439
ლიკვიდურობა	309,534	(2,950,819)	-	-	(2,641,285)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ ძირითადად უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ფული და ფულის ექვივალენტები		სულ
დოლარი	3	3
2018 წლის 31 დეკემბერი	3	3
დოლარი	1,384,767	1,384,767
2017 წლის 31 დეკემბერი	1,384,767	1,384,767

	სასესხო ვალდებულებები	კრედიტორული და სხვა ვალდებულებები	სულ
დოლარი	98,177	755,596	853,773
2018 წლის 31 დეკემბერი	98,177	755,596	853,773
ევრო	204,213	-	204,213
დოლარი	4,454,821	-	4,454,821
2017 წლის 31 დეკემბერი	4,659,034	-	4,659,034

20. გაუთვალისწინებელი გარემოებები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო და სხვა სახის პირობითი ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე

სასამართლო დავები

2018 წლის განმავლობაში კომპანია ჩაება სასამართლო დავაში. შპს „დაგი“ კომპანიისაგან მოითხოვს მის მიერ გაყიდული პროდუქციით დაზიანებული ქონების ღირებულების კომპენსაციას 47,500 ლარის ოდენობით. კომპანიის იურისტის შეფასებით, არსებული დავის მოგების ალბათობა საშუალოა.

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს საბანკო გარანტიები სს „თიბისი ბანკში“: გარანტია N2133865-9968035 ძირითადი თანხით - 40,546.33 აშშ დოლარის ოდენობით, გარანტია N2133865-10086345 ძირითადი თანხით - 80,391.28 აშშ დოლარის ოდენობით, გარანტია N2133865-9946079 ძირითადი თანხით - 70,000 აშშ დოლარის ოდენობით, გარანტია N2133865-10205905 ძირითადი თანხით - 75,000 ევროს ოდენობით, გარანტია N000627679 ძირითადი თანხით 55,000 ევროს ოდენობით.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის მინიმალური გადასახადი 31 დეკემბრისთვის

	2018	2017
ერთი წლის განმავლობაში	540,340	374,406
ერთიდან ხუთ წლამდე	1,339,326	1,350,395
ხუთ წელზე მეტი ვადით	1,300,002	2,792,210
სულ	3,179,668	4,517,011

21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები და ნაშთები

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ზედა რგოლის მენეჯმენტის ანაზღაურება საანგარიშგებო პერიოდისათვის:

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია

	2018	2017
ხელფასები, ბონუსები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	152,620	193,504
სულ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	152,620	193,504

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ტრანზაქციები და ნაშთები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2018	2017
ოპერაციების თანხა:		
გაყიდვები მშობელ კომპანიაზე	287,659	494,358
გაყიდვები სხვა დაკავშირებულ მხარეებზე	-	109,222
შესყიდვები მშობელი კომპანიიდან	97,388	339,390
შესყიდვები სხვა დაკავშირებული მხარეებიდან	-	5,368
მშობელი კომპანიიდან მიღებული სესხის ფინანსური ხარჯები	-	124,318
სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხის ფინანსური ხარჯები		127,992
გადასახდელი ქირა მშობელი კომპანიისათვის	192,728	336,478
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:		
მოთხოვნები		
მშობელი კომპანია	9,909	175,793
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	58,532
ვალდებულებები		
მშობელი კომპანია	373,855	28,622
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	9,903

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრისათვის და დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ 2019 წლის 9 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ქონდა კომპანიის კაპიტალის ზრდას 1,809,149 ლარის ოდენობით.

შპს ვისოლ ავტოექსპრესი (ს/კ 404878806)

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა:

შპს „ვისოლ ავტოექსპრესი“-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საავტომობილო და ინდუსტრიული საცხებ-საპოხი მასალების, საავტომობილო და სპეციალური ტექნიკის საბურავების, აკუმულატორების, ფილტრების, ხუნდების და სხვა სწრაფცვითადი პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია. საქმიანობის არეალი არის საქართველოს მამულებით. კომპანია ბაზარზე მოღვაწეობს 2011 წლიდან.

კომპანია არის რამოდენიმე საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, როგორებიცაა: Total (საფრანგეთი, ზეთები), Chevron/Texaco (ბელგია, ზეთები) Gazpromneft sm (რუსეთი, ზეთები) G Energy (ზეთები, იტალია), Nokian (საბურავები, ფინეთი), Pirelli (იტალია, საბურავები) და ა.შ

კომპანია მუშაობს გაყიდვების რამოდენიმე მიმართულებით, როგორც საცალო (საკუთარი ქსელი 23 სერვის ცენტრით), ისე საბითუმო და კორპორატიული მიმართულებით.

ასევე კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სატენდერო გაყიდვები, სადაც კომპანია იღებს საერთო ტენდერების დაახლოებით 25%-ს, რაც მნიშვნელოვანი წილია.

განვითარების გეგმები:

2017 წლიდან კომპანიამ აქტიურად დაიწყო ფრანჩაიზინგის მოდელის დანერგვა და განვითარება, რაც გულისხმობს კომპანიის მფლობელობაში არსებული სავაჭრო ნიშნების გადაცემას ფრანჩაიზინგის ხელშეკრულებით სხვა იურიდიულ პირებზე, რაშიც კომპანია იღებს ფრანჩაიზინგის საკომისიოს და ასეთ იურიდიულ პირებს ამარაგებს საკუთარი პროდუქციით, შემდგომი რეალიზების მიზნით. ეს მოდელი

აპრობირებული მთელს მსოფლიოში, რაც იძლევა საშუალებას ფიქსირებული და ადმინისტრაციული ხარჯების გარეშე განავითაროს კომპანია ქსელის. ამ მოდელის ფარგლებში კომპანიამ 2017 წელს 9 ობიექტი, ხოლო 2018 წელს 8 ობიექტი გასცა საკუთარი ქსელიდან, რითიც დაზოგა მნიშვნელოვანი ხარჯები (იჯარა, თანამშრომლის ხელფასები, კომუნალური ხარჯები, და. ა.შ). გეგმაშია ასევე დარჩენილი ობიექტების ფრანჩაიზით გაცემა და სადისტრიბუციო (საბითუმო) მიმართულების გაძლიერება, ასევე კორპორატიული მიმართულების გაძლიერება და სატენდერო ბაზრის წილის ზრდა. ეს მიმართულებები მოითხოვს ზოგადად ნაკლებ დანახარჯებს კომპანიის მხრიდან, ვიდრე საცალო ქსელის განვითარება.

უახლოეს პერიოდში გეგმაშია ასევე ბიუჯეტური (დაბალფასიანი) საქონლის იმპორტი სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაგალითად ჩინეთიდან საბურავების, თუქეთიდან კუმულატორების და ფილტრების. ბაზარზე მზარდი მოთხოვნა შედარებით დაბალფასიან პორდუქციაზე, რადგან არსებული ეკონომიკური სიტუაცია არ იძლევა პრემიალური პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა:

კომპანია სისტემატიურად ატარებს მომსახურების ხარისხის კვლევას მომსახურების ცენტრების მამტაბით, რაშიც იყენებს მისტიურ მომხარებლებს. სისტემატიურად ხდება ბაზარზე არსებული ფასების, კონკურენტების და პროდუქციის შესწავლა, თუმცა ეს შიდა ძალებით და არა რაიმე ოფიციალური კვლევის საფუძველზე.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ :

ამ ეტაპზე კომპანია ფლოს 24 მომსახურების ცენტრს მთელი საქართველოს მამტაბით. აქედან 13 მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია თბილისში, ხოლო დანარჩენი 10 რეგიონებში. მომსახურების ცენტრები ფუნქციონირებს საქართველოს ყველა დიდ ქალაქში: თელავი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ზუგდიდი, ქობულეთი, ბათუმი.

კომპანია ფლობს ორ სავაჭრო ნიშანს, VIANOR-რომლის ფრანჩაიზის უფლება მიღებული აქვს ფინური კომპანია NOKIAN TYRE-ისგან, რომლის ჯგუფის წევრიც არის VIANOR-ის მომსახურების ცენტრები, ხოლო მეორე სავაჭრო ნიშანს წარმოადგენს G ENERGY, რომელიც ასევე ფრანჩაიზინგის უფლებით აქვს ნმიღებული GAZPROMNEFT-ისგან. 19 სერვის ცენტრ ფუნქციონირებს VIANOR-სი ბრენდით, ხოლო 5 G ENERGY-ის ბრენდით. აღსანიშნავია, რომ ამ ინდუსტრიაში არსებობს სულ რამოდენიმე კომპანია, რომელსაც გააჩნია საკუთარი საცალო ქსელი. ვისოლ ავტოექსპრესი პირველ ადგილზეა საქართველოში ობიექტების რაოდენობის მიხედვით, რაც არის ერთ-ერთი ძლიერი კონკურენტული უპირატესობა ჩვენი კომპანიის. სამომავლოდ კომპანია ფიქრობს ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას ფრანჩაიზინგის მოდელით.

სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ:

კომპანიას ამ ეტაპზე გააჩნია საკრედიტო დავალიანება მხოლოდ ერთი კომერციული ბანკის წინაშე 1.4 მლნ ლარის ოდენობით. რომლის მომსახურებას კომპანია უზრუნველყოფს რაიმე შეფერხების გარეშე. სესხი აღებულია საბრუნავი სახსრებისთვის, 4 წლიანი ვადით. სესხი უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით. კომპანიას გააჩნია დადებითი საკრედიტო ისტორია რამოდენიმე კომერციულ ბანკთან. კომპანია ასევე სარგებლობს საბანკო გარანტიებით და აკრედიტივებით, რომელიც ძირითადად გამოყენებულია ასევე პროდუქციის იმპორტისთვის და წარდგენილი სხვადასხვა მომწოდებლებთან. კომპანია არ გააჩნია რაიმე საკრედიტო ან ლიკვიდურობის პრობლემა. მენეჯმენტი სისტემატიურად აკონტროლებს სასაქონლო ნაშთებს და შესაბამისად გეგმავს საქონლის იმპორტს არსებული გაყიდვების მაჩვენებლების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ლიკვიდურობის შენარჩუნებას. მიმდინარე ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია რაიმე ვადაგადაცილებული ან პრობლემური დავალიანება რომელიც ბანკის ან მომწოდებლის მიმართ.

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა - არ არის რელევანტური

რისკები და პრობლემები:

კომპანიისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს არარეგულირებული ბაზარი და არაჯანსაღი კონკურენცია. მაგალითად საქართველოში საბურავების მთლიანი ბაზრის 70% უკავია მეორად საბურავებს, რომლებიც იმპორტირებულია სხვადასხვა ქვეყნებიდან.

მეორადი საბურავის გამოყენება სიცოცხლისთვის სახფათოა და მაღალი რისკების შემცველია, თუმცა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე აქტუალობას არ კარგავს მეორადი საბურავების ბიზნესი, რასაც ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ახალი საბურავების იმპორტი. მეორადი საბურავები იყიდება 4-ჯერ უფრო იაფად , ვიდრე თუნდაც ჩინეთიდან იმპორტირებული დაბალფასიანი ახალი საბურავი.

არანაირი კონტროლი არ ხდება ქვეყანაში იმპორტირებული საცხებ-საპოხი მასალების ხარისხის და წარმომავლობის შესახებ. ბაზარზე ხშირად ვაწყდებით გაურკვეველი წარმომავლობის ზეთებს, რომლებიც 2-3-ჯერ უფრო იაფია ჩვენს მიერ იმპორტირებულ შედარებით დაბალფასიან ზეთებზე.

პრობლემას ქმნის ასევე არაჯანსაღი კონკურენცია, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება კერძო ინდივიდუალური მეწამრეების მხირდან გაურკვეველი პროდუქციის შეთავაზებაში კლიენტებისთვის. ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უხარისხო და მეორადი პროდუქციით, რაც ჩვენნაირი კომპანიებისთვის, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიანი და ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქციის იმპორტზე და რეაზლიციაზე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

თანამდებობა : დირექტორი

ხელმოწერა : _____

თარიღი: 09.09.2019

სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა - არ არის რელევანტური

რისკები და პრობლემები:

კომპანიისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს არარეგულირებული ბაზარი და არაჯანსაღი კონკურენცია. მაგალითად საქართველოში საბურავების მთლიანი ბაზრის 70% უკავია მეორად საბურავებს, რომლებიც იმპორტირებულია სხვადასხვა ქვეყნებიდან. მეორადი საბურავის გამოყენება სიცოცხლისთვის სახფათოა და მაღალი რისკების შემცველია, თუმცა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამომდინარე აქტუალობას არ კარგავს მეორადი საბურავების ბიზნესი, რასაც ვერანაირ კონკურენციას ვერ გაუწევს ახალი საბურავების იმპორტი. მეორადი საბურავები იყიდება 4-ჯერ უფრო იაფად, ვიდრე თუნდაც ჩინეთიდან იმპორტირებული დაბალფასიანი ახალი საბურავი.

არანაირი კონტროლი არ ხდება ქვეყანაში იმპორტირებული საცხებ-საპოხი მასალების ხარისხის და წარმომავლობის შესახებ. ბაზარზე ხშირად ვაწყდებით გაურკვეველი წარმომავლობის ზეთებს, რომლებიც 2-3-ჯერ უფრო იაფია ჩვენს მიერ იმპორტირებულ შედარებით დაბალფასიან ზეთებზე.

პრობლემას ქმნის ასევე არაჯანსაღი კონკურენცია, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება კერძო ინდივიდუალური მეწამრეების მხირდან გაურკვეველი პროდუქციის შეთავაზებაში კლიენტებისთვის. ბაზარი ძირითადად გაჯერებულია უხარისხო და მეორადი პროდუქციით, რაც ჩვენნაირი კომპანიებისთვის, რომელიც ორიენტირებულია ხარისხიანი და ევროსტანდარტების შესაბამისი პროდუქციის იმპორტზე და რეაზლიციაზე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

თანამდებობა : დირექტორი

ხელმოწერა :

თარიღი:

09.09.2019



დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

შპს “ვისოლ ავტო ექსპრეს”-ის მფლობელებსა და მენეჯმენტს

ბატონებო,

თქვენი 2019 წლის 09 სექტემბერს დათარიღებული მმართველობის ანგარიშგების, საპასუხოდ:

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ:

1. კომპანიამ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების შემდგომ, მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამობები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლების მიხედვით.

ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრაცხვებთან, რომელიც მიჰყავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადინაკადების რისკების მიმოხილვას და იმის ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხიმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2019 წლის 09 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

09 სექტემბერი 2019 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს.

ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- კომპანიის განვითარების გეგმებს;
- კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
- ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
- კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და იმის ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაციას
- ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან და;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ, 2019 წლის 09 სექტემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

09 სექტემბერი 2019 წელი

არესემ საქართველო

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



